ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების
საკოორდინაციო ცენტრი"
Georgia
Non-Entrepreneurial/Non-Profit/Legal Entity
"Tskaltubo Municipality Tourism Development Coordination Center"

N 126/5
24/02/2023

5-126-2-202302241102

ა (ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"-ს 2022 წლის ანგარიში

1. ტრენინგები ტურისტული მომსახურების მომწოდებლებზე:

ა. ტურისტული პროდუქტის შექმნის საფუძვლები და პრინციპები

ბ. ტურისტული ბაზრის სეგმენტაცია,ბაზრებზე ეკო-ტურისტული პროდუქტის პოზიციონირება

გ. მარკეტინგული კომუნიკაციები

დ. ჰასპის პროგრამა

ე. ტურიზმი და სტანდარტიზაცია

ვ. ტურიზმი და უსაფრთხოება

ზ. კურორტი, როგორც ტურისტული განვითარების ობიექტი

თ. აგროტურისტული მეურნეობა

<u>აქტივობები:</u>

1.საახალწლო მილოცვა -(გადაეგზავნა ელექტრონული მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს,განათლების-კულტურის თანამშრომელს)

2.სოფლის მდგრადი განვითარებისათვის, სტრუქტურული გეგმის ჩამოყალიბების მიზნით,ადმინისტრაციულ- ტერიტორიულ ერთეულების წარმომადგენლებს

5400 ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. №39ა, ☎ 591446094 (0436)22-46-76
5400 Tskaltubo. Rustaveli St. №39a Tel: 591446094 (0436)22-46-76
E-mail: Tskaltubo.centertourism@gmail.com

დაეგზავნათ დავალება,ტურისტულად საინტერესო პროდუქტების აღრიცხვა და ამ ინფორმაციის მოწოდება/

3. მოვიძიეთ მუნიციპალიტეტის მაშტაბით ,მარნები, მეღვინეები და ისინი დავარეგისტრირეთ იმერეთის ღვინის ასოციაციაში.

4.მუნიციპალიტეტში შეიქმნა ადგილობრივი გიდების გადასამზადებელი სასერთიფიკატო კურსები ,რომლის ბაზაზე მაღალკვალიფიციური ,მოწვეული ტრენერების მიერ შეირჩა და გადამზადდა 20 მოხალისე , გადაეცათ საერთაშორისო , ლიცენზირებული სერთიფაკატები/

5.ტურიზმის სამსახურის 2022 ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა გახლდათ, ისრაელი-ლისაბონი ის გამოფენებზე მონაწილეობის მიღება

6.გატარდა მეტად საჭირო და მიზანმიმართული ღონისძიებები უკრაინელ დევნილთა აღრიცხვისა და მათი ჰუმანიტარული დახმარების კუთხით..

7.ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ,ვუმასპინძლეთ ამერიკელ ჟურნალისტებს და ევროპელ ფოტოგრაფებს.

8. წყალტუბოს ტურიზმის სამსახური აქტიურად იყო ჩართული ჩვენი ქალაქისათვის მნიშვნელოვანი კინო გადაღების პროცესში ,რომელიც ქართველი და ფრანგი პროდიუსერების მიერ ხორციელდებოდა

პროექტის სახელწოდება გახლდათ „წყალტუბო დევნილთა თავშესაფარი“

9. უნდა აღინიშნოს არანაკლები მნიშვნელოვანი პროექტი კლიპისა, სახელწოდებით „კოვიდ პანდემია“ ,რომლის გადაღება წყალტუბოს ყოფილ მე-8 აბაზანაში მიმდინარეობდა და ნამუშევარი ერთერთ ნომინანტად წარადგინეს ნეთფლიქსზე. აქვე უნდა აღინიშნოს რომ,2022 ში ტურიზმის სამსახური გახლდათ ცნობილი ტელე გადაცემის „1991-პროდაქშენი“-ს მასპინძელი

10.ქალაქში შემუსული ვიზიტორების მოთხოვნიდან გამომდინარე ჩვენს მიერ დამუშავდა ველო ტურები მუნიციპალიტეტის მაშტაბით.

11.აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა .წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურისტული საიტის გზამკვლევის გაიდების და ბროშურების გაახლებაზე..ანუ ეს ნიშნავს იმას რომ,იქმნება პლატფორმა ტურისტისა და ქალაქის სტუმრებისათვის მიიღონ სრული

ინფორმაცია ყველა მიმართულებით ტურისტული ინფრასტრუქტურის შესახებ და ამის საფუძველძე შემენილ იქნა დომეიინიც საიტისთვის და ამ საიტის სახელწოდება

WWW.WISITTSKALTUBO.COM .

12.გადამზადდა, „ ტურიზმის მართვის აკადემია“- სთან ერთად ,პროფესიული გადამზადების კურსები. სასტუმროს და რესტორნის თანამშრომლებისათვის. ტრენინგი „ მართვის სისტემის არეალი“.

13.ინდივიდუალურ მოთხოვნთა საფუძველზე ,დაცული ტერიტორიების სააგენტოს დახმარებით ,ჩატარდა ინფო-ტური სასტუმროების გაყიდვების მენეჯერთათვის.

14. სასტუმროების მოთხოვნათა საფუძველზე, ტურიზმის სამსახურის ჩართულობით , ჩატარდა საწავლება ონლაინ დაჯავშნის პლატფორმების მართვასთან დაკავშირებით. („BOOKING.COM& OTA ონლაინ დაჯავშნის პლატფორმების მართვა“-) .

15. ადგილობრივი სასტუმროებისათვის გაცნობისა და დამეგობრების მიზნით ჩატარდა ინფო ტურები სხვადასხვა საქართველოს ბრენდულ სასტუმროებთან (პულმანი.ლოპოტა,შერატონი)

16. არანაკლებ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ტურისტული სერვისების მიწოდების და მომსახურების დახვეწას .ამ მიზნით მოხდა კადრების გადამზადება. კურორტის სპეციფიკიდან გამომდინარე საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურია და ინკლუზიური ტურიზმის ხელშეწყობა,ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია ჩვენი სამსახურისათვის.

17. მივიღეთ მონაწილეობა საგრანტო კონკურსში და შედეგად (მოვიგეთ) შევიძინეთ აღჭურვილობა ინოვაციური ცენტრის ფაბლაბის ლაბორატორიისათვის:

3Dპრინტერი,ლაზერული,მჭრელი,.რუტერი,..პოლიგრაფიული,პრინტერი,..ფერადი პრინტერი,..ლამინირების აპარატი, დრონი, აპარატურა .

18. თბილისის ტექნო-პარკის მხარდაჭერით ჩატარდა გაცნობითი ხასიათის პრეზენტაცია

„ ინოვაციური ცენტრის არსებობის მნიშვნელობა მუნიციპალიტეტში“ .

19. წყალტუბოს ინოვაციების ცენტრში დაინტერესებულ პირთათვის მიმდინარეობს ჰიბრიდული ტრენინგი: კომპიუტერული ქსელების საფუძვლების მიმართულებით.კურსდამთავრებულთათვის გარანტირებული დასაქმება

20. წარმატებით განხორციელდა პროგრამა განავითარე მეწარმეობა სოფელში,სადაც ჩავრთეთ როგორც დამწყები ასევე გამოცდილი მეწარმეები.

21.ტურიზმისა და ინოვაციების ცენტრმა გამოაცხადა იდეათონი რომელიც მოიცავდა საუკეთესო პროექტი „გაალამაზე შენი ეზო“-ეგიდით

პროექტის მიზანი იყო : საუკეთესო იდეების ამორჩევა და დაინტერესება იქ მყოფი პოტენციური დამფინანსებლების .

რა არის ფაბლაბი ?

ფაბლაბი არის უნიკალური სივრცე ნებისმიერი მოქალაქისათვის, რომელსაც აქვს იდეა და სურს მისი განხორციელება ან სტარტაპ ბიზნესად ჩამოყალიბება.ფაბლაბი ყველას აძლევს საშუალებას ჰქონდეს წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებზე. ის მორგებულია ნებისმიერ მომხმარებელზე და ხელს უწყობს იდეების გენერირებას. სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები (Fablab) ბადებს წინსვლის პერსპექტივას თანამედროვე საზოგადოებაში. ამ სივრცეებში ხდება ახალი წამოწყებების სრულყოფა და ახალგაზრდა ინოვატორების იდეების რეალიზება.

რას გვთავაზობს ფაბლაბი ?
• სამუშაო სივრცე
• ინოვაციური იდეების პროტოტიპირების უფასო სერვისი

22. სისტემატურად ტარდება ინოვატორ ახალგაზრდებთან შეხვედრები,და თანამშრომლობის საპესრპექტივო გეგმების გაწერა
23..ჩატარდა ლექცია-სემინარები:- წყალტუბო როგორც კურორტი, აგრო ტურიზმი,წყალი მისი სამკურნალო თვისებები და სოფლის მეურნეობა ნატურალური პროდუქტის პოპულარიზაცია.
24.გადამზადდა დასუფთავების დეპარტამენტი
    დასუფთავების სტანდარტები-ტრენერი კლასტერ დირექტორი -ჟანა გამხიტაშვილი.

25. გადამზადდა ბარმენები
ტრენერი-იმერეთის ბარმენთა ასოციაციის პრეზიდენტი ბორის კიკაძე..

1. ქალაქ თბილისში ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩაატარდა მასტერკლასი სადაც ესწრებოდნენ სასტუმროები ტურისტული კომპანიებისა და სტუმარმასპინძლობის სფეროს წარმომადგენლები.
ტრენერი-ცნობილი საერთაშორისო ექსპერტი ჯონ შოული.
2. მოხდა ტურისტული ობიექტების აპლიკაციაზე, DMO-იმერეთის ჩართულობით, ატვირთვა და გაწევრიანება.
3. მომზადდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ციფრული რუკები DMO-იმერეთის ჩართულობით.
4. მუშავდება ,სეზონური კალენდარი,რომელიც გათვლილია ტურისტის დაინტერესებაზე და მის ემოციურ ბმაზე.
5. მუნიციპალიტეტის შემოგარენ სოფლებში გრძელდება რეგისტრაცია ახალი ტურისტული ლოკაციების , რომელიც მოიცავს განთავსების ობიექტებს, ეთნო მარნებს და სხვადასხვა საინტერესო ლოკაციებს.
6. ხელშეწყობა ხდება საერთაშორისო ევროპული დონის სტანდარტიზაციის შემუშავებაში.(სოფლის მეურნეობის გაძლიერები კუთხით)
7. ჩართულობა ხდება საერთაშორისო მსოფლიო დონის კონფერენციებში მიზნობრივ ბაზრებზე,
8. წყალტუბო წარსდგა ლუქსემბურგის გამოფენაზე -წყალტუბო ევროპის ტური „თერმული წყლები“
9. შეიქმნა და მუშა პროცესშია ლოკაცია ხომულის ციხე.
10. ვუმასპინძლეთ ერთერთ ცნობილ ჯგუფს ყაზახეთიდან (ბლოგერები)
11. .მივიღეთ მონაწილეობა წმ. მოწამეთა კვირიკეს და ივლიტას სახელობის ტაძრის გახსნაში , ამავდროულად ხელიშეუწყვეთ გახსნის ღონისძიებას.
12. მოვიწვიეთ ფოტო-ხელოვანი იური მეჩითოვი, რომელმაც ფოტო კურსები ჩაუტარა მუნიციპალიტეტში მომუშავე ფოტოგრაფებს, ჩვენის მხრიდან ვუზრუნველყავით მისი ტრანსფერი და განთავსება. (სასტუმრო ვიტა-გარდენში) იური მეჩითოვი ქალაქს ესტუმრა ქალაქის დღესასწაულზე“შემოდგომის წყალტუბო“, რამაც კიდევ მეტად ხელი შეუწყო ქალაქის პოპულარიზაციას. (ფოტო კურსები ჩატარდა წყალტუბოს მერიის შენობაში).
13. მოწვეული გვყავდა აგრეთვე, ჟურნალისტი და ინფლუენსერი დავით ლიკლიკაძე,
14. გასტრონომიული ტური წყალტუბოში-მოვიწვიეთ გასტრონომიული მუზეუმის დამფუძნებელი და ტელეწამყვანი, ინფლუენსერი ესმა კუნჭულია წყალტუბოში, სადაც მან ჩაატარა გასტრონომიული ტური და პოპულარიზაცია გაუწია კვების ობიექტებს.
15. ხელი შევუწყვეთ სასულიერო გიმნაზიის ჯგუფს ,,Techno Girl'' მონაწილეობა მიეღოთ მთაწმინდაზე დაგეგმილ ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მოწყობილ საგრანტო კონსკურსში, სადაც მე-3 ადგილზე გავიდნენ.

16. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია განახორციელა სწავლება-ტრენინგებს მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის საქართველოს მაშტაბით. სასწავლო პროცესები და განთავსება მიმდინარეობდა წყალტუბოში არსებულ სასტუმროებში ნაკლებად დატვირთულ სეზონზე. კურსის ხელმძღვანელი გახლდათ: ასოციაციის თავმჯდომარე ბატონი დავით ხოსროშვილი თავისი ჯგუფით.
17. პროექტები:

ა. „მუნიციპალიტეტის 17 ადმინისტრაციული ერთეულის პოპულარიზაცია;

ბ. წარმატებით მიმდინარეობს პროექტი „მუნიციპალური განვითარება ტურიზმის ჩართულობით „ (2022-2023წწ)

1„გიგანტური პროექტი“ - მსოფლიო დონის 200 ბლოგერიკომპანია „wizear” ინიციატივით . ესტუმრენ წყალტუბოს და დაათვალიერეს 4 ტურისტულ ლოკაციას.(თეთრა მღვიმე, პრომეთეს მღვიმე, სასტუმრო არია, სასტუმრო ეპიკ პრომეთე).მათი მიზანი იყო რეგიონის პოპულარიზაცია.

2.პროექტი წყალტუბო და ავიაფრენები,რაც მოიცავს იმას, რომ ჩვენს სასტუმროებს დამატებითი სერვისი დაემატება სეზონზე, ფრენების სახით და ეს შევა სასტუმროს მომსახურეობის და დაჯავშნის ფასში.

3.ჩატარდა ინფო ტურები მუნიციპალიტეტის სოფლებში, რომელმაც შეიძინა სისტემატიური სახე და მიმდინარეობს დღესაც. დავიწყეთ ჩუნეშით და აქვე დავამზადეთ საინფორმაციო ხასიათის ბროშურები.

4.მონაწილეობა მივიღეთ და დავაფინანსეთ ადგილობრივი მცირე მეწარმეები(მხატვრები,ხატმწერები,დიზაინისა და რეწვის ოსტატები) საერთაშორისო ეთნო ფესტის გამოფენაზე, რომლის გადაწყვეტილებაც შედგა 5 აგვისტოს და განხორციელდა წარმატებით.

5.მონაწილეობა მიიღო ტურიზმის ცენტრმა აგრო ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაში, თურქეთის ქალაქ ბურსაში, რომელმაც წარმატებით ჩაიარა. შეთანხმება მოხდა, რომ მომდევნო წელს გამოფენა ჩატარდება საქართველოში და თურქეთი მიიღებს მონაწილეობას.რაც გარანტირებულად ხელს შეუწყობს აგრო ტურიზმის განვითარებას.

6.აგვისტო-სექტემბერის თვეში წარმატებით ჩატარდა 1 ოქტომბრის ღონისძიება „შემოდგომის წყალტუბო“სადაც ტურიზმის ცენტრი აქტიურად იყო ჩართული აქტივობებით.

7.დაიდო ახალი ხელშეკრულება ცნობილ თურქ რეჟისორთან ზეინებ დადაკთან.ტურიზმის ცენტრის ხელშწყობით მე-4 პროექტის სახით გადაიღებენ ფილმს წყალტუბოში. ეს ის მცირე ჩამონათვალია , რომელებიც წყალტუბოში ჩამოდიან ,იღებენ სხვადასხვა ჟანრის ფილმებს და მონაწილეობენ კანის ფესტივალზე.

8.თანამშრომლობა გაფორმდა კინო-სტუდია ,,რე“(ფონდი სოხუმი) -სთან,რომელიც ახდენს მოკლემეტრაჟიანი ფილბის ჩვენებას, პროექტის მიზანიც არის ,, არ დავივიწყოთ აფხაზეთი“

9.პარალელურ რეჟიმში და შეიძლება ითქვას ყოველდღიურ რეჟიმში ვანხორციელებთ ვიზიტორების მიღებას და მათი სურვილი შესაბამისად ვახორციელებთ სასტუმროებში განთავსების უზრუნველყოფას.

10. ტურიზმის ცენტრი მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების დღესასწაულზე თუ გამოფენაზე.

11.ტურიზმის ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ჯონ-შოუს მასტერკლასში.თბილისში სასატუმრო „სტამბაში“

12.საერთაშორისო ბაზარზე გავდივართ ერთიანი პოზიციონირებისათვის და ამისათვის გვჭირდება მუშაობა მრავალი მიმართულებით. ამის გამო ხდება დაორგანიზება შეხვედრების, სარეკომენდაციო პაკეტების ჩამოყალიბება, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთა სოფლის ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძვანელებთან შეხვედრა.

13.უნდა მოხდეს ევროპული წესით სტანდარტიზაცია ,ბრენდირება მუნიპალიტეტის:- მთავარი ბრენდი რეგიონის ცენტრი წყალტუბო და 17 ქვე ბრედნი ადმინისტრაციული ერთეულების სახით.

14. ჩვენი თანამონაწილეობით ტურიზმის საინფორმაციო საგამოფენო ცენტრში აეროპორტში, შეიქმნა საინფორმაციო სივრცე რომელიც მოიცავს მთელ იმერეთს, აგრეთე წყალტუბოს .

15.მიეწოდა DMO-იმერეთს აპლიკაციაში რეგისტრაციისთვის ინდივიდუალურად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ყველა ტურისტული ლოკაციის სასტუმრო, რესტორანი, საოჯახო ტიპის სასტუმრო, ქალაქში დაგეგმილი ღონისძიებების და ა.შ ინფორმაცია.

16.აგრეთვე ვადგენთ სტატისტიკურ მონაცემებს, შემოსული ვიზიტორების რაოდენობის სახით და ვანხორციელოებთ ზარებს სასტუმროების, დაცული ტერიტორიების და მუნიციპალიტეტში მდებარე ყველა ტურისტულ ლოკაციებზე ყოველ 6 თვეში ერთხელ , და ვაწვდით ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას.

17..ვმუშაობთ ბრაერის შრიფტზე(პოლიგრაფია)

18.მიმდინარეობს ცვლილება ჩიპი/ბარათი..(ქაღალდის ჩანაცვლება)მზადება საერთაშორისო გამოფენებზე გასატან მასალაზე.

19.მუშავდება ფესტივალების დაორგანიზება..(სეზონურად)

20. ინოვაციურ ცენტრში ტარდება ტრენინგ-სწავლებები, პადკასტები და საინტერესო და საჭირო თემებზე საუბარი ჩაისთან.

21. რეგიონალური განვითარების კუთხით ჩავრთეთ მცირე, მსხვილი და დამწყები მეწარმეები,ხდება მიწვევა კომპანია „Tuyaf “ სა და სავაჭრო პალატის მხარდაჭერით საერთაშორისო გამოფენებზე. და ეტაპობრივად ვაწვდით ინფორმაციას გამოფენებთან დაკავშირებით.

22. აგრეთვე მონაწილეობა მივიღეთ თბილისში მე-5 საერთაშორისო ფორუმზე.სასტუმრო მერიოტში.

GTA საქართველოს ტურიზმის ასოციაციასთან ერთად ვუმასპინძლეთ ბიზნეს ფორუმს B&B.მუნიციპალიტეტიდან წარმოდგენილი იყო ჯგუფი საკრებულოს და მერიის თანამშრომლების სახით.

23. „კინო პროექტი „ემიგრანტი ქალები“ ადგილობრივი მოსახლეობიდან იქნა არჩეული . (ემიგრანტები თურქეთი და საბერძნეთში მოღვაწენი)გადაღებები დაიგეგმა ქ.წყალტუბოს „ჩასატარებლად.წყალტუბოში.და ჩატარდა.

24. შევიმუშავეთ წყალტუბოში მყოფი უკრაინელი ლტოლვილების მხარდაჭერის პროგრამა. **ჩავრთეთ „საგრანტო“კონკურსში.**(ქეა კავკასიამ, ქეა ამერიკის (CARE USA) მხარდაჭერით დაიწყო უკრაინაში ომის შედეგად საქართველოში დარჩენილი ან უკრაინიდან ლტოლვილი მოსახლეობის მხარდაჭერის ჰუმანიტარული პროგრამა. უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, უკრაინის მეზობელი ქვეყნებისკენ ლტოლვილთა დიდი ნაკადი მიემართა. გაიზარდა ლტოლვილთა რაოდენობა საქართველოშიც. 24 თებერვლიდან 1 მაისის ჩათვლით, საქართველოში 40 000 მზე მეტი უკრაინელი ჩამოვიდა, რომელთა უმეტესობა ქალები, ბავშვები და მოხუცებია.
ქეას ჰუმანიტარული პროგრამა ეფუძნება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების რეალურ საჭიროებებს და მოიცავ,: **უკრაინელ ლტოლვილთა მხარდაჭერის პროგრამას.**

ა(ა)იპ ''წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი''-ს 2022 წლის მისაღები სუბსიდია გეგმით განისაზღვრა 100000 ლარი, დაზუსტებული 115630 ლარი, მიღებული არის 99973,40 ლარი. ხარჯები გეგმით განისაზღვრა 150420 ლარი, დაზუსტებული 181900 ლარი, გახარჯული არის 164733,90 ლარი.

2022 წლის ანგარიშით სახელფასო ფონდში განისაზღვრა 66120 ლარი, დაზუსტებული არის 55261 ლარი, გახარჯული არის 50613 ლარი. შესრულებული არის 92 %

მივლინების მუხლში განსაზღვრული იყო 3000 ლარი, ზუსტებული არის 6700 ლარი, გახარჯული არის 4944,10 ლარი. შესრულებული არის 73,8 %

საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, საკანცელრიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის მუხლში განსაზღვრული იყო 500 ლარი, დაზუსტებული არის 500 ლარი, გახარჯული არის 500 ლარი. შესრულებული არის 100 %

კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯების მუხლში განსაზღვრული იყო 0 ლარი, დაზუსტებული არის 100 ლარი, გახარჯული არის 75 ლარი. შესრულებული არის 75%.

ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების მუხლში განსაზღვრული იყო 3000 ლარი, დაზუსტებული არის 1552 ლარი, გახარჯული არის 1052 ლარი. შესრულებული არის 67,78%.

მცირეფ.საოფ. ტექ. შეძენა დამონ. მუხლში განსაზღვრული იყო 0 ლარი, დაზუსტებული არის 1665 ლარი, გახარჯული არის 657 ლარი. შესრულებული არის 39,46 %

სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებათან დაკავშირებული ხარჯების მუხლში განსაზღვრული იყო 0 ლარი, დაზუსტებული არის 200 ლარი, გახარჯული არის 100 ლარი, შესრულებული არის 50%.

საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯების მუხლში განსაზღვრული იყო 0 ლარი, დაზუსტებული არის 1200 ლარი, გახარჯული არის 1133 ლარი, შესრულებული არის 94,42%.

რეცხვის ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯის მუხლში განსაზღვრული იყო 500 ლარი, დაზუსტებული არის 500 ლარი, გახარჯული არის 500 ლარი. შესრულებული არის 100 %

კავშირგაბმულობის მუხლში განსაზღვრული იყო 4368 ლარი, დაზუსტებული არის 4368 ლარი, გახარჯული არის 2571,40 ლარი. შესრულებული არის 58,87 %

კომუნალური ხარჯის მუხლში განსაზღვრული იყო 1440 ლარი, დაზუსტებული არის 3940 ლარი, გახარჯული არის 2263,10 ლარი. შესრულებული არის 57,44 %

წარმომადგენლობითი ხარჯები განსაზღვრულია 3500 ლარი, დაზუსტებული არის 2000 ლარი, გახარჯული არის 1363,50 ლარი. შესრულებული არის 68,17%

ტრანსპორტის ტექნ. და იარაღის ექსპლ. და მოვლა-შენახვის მუხლში განსაზღვრული იყო 6676 ლარი, დაზუსტებული არის 7676 ლარი, გახარჯული არის 7501,80 ლარი. შესრულებული არის 75,73 %.

მ.შ 1. საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯში განსაზღვრული იყო 6676 ლარი, დაზუსტებული არის 7376 ლარი, გახარჯული არის 7368,80 ლარი. შესრულებული არის 99,28%

1. ტრანსპორტის დაქირავების /გადაზიდვა გადაყვანის/ხარჯი განსაზღვრული იყო 0 ლარი, დაზუსტებული არის 300 ლარი, გახარჯული არის 133 ლარი, შესრულებული არის 44,33%

სხვა დანარჩ.საქონ. და მომსახ. მუხლში განსაზღვრული იყო 10896 ლარი, დაზუსტებული არის 25714 ლარი, გახარჯული არის 23346,30 ლარი. შესრულებული 90,79 %. მ.შ

1. კადრების მომზადება გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში განსაზღვრული იყო 0 ლარი, დაზუსტებული 148 ლარი, გახარჯული არის 148 ლარი. შესრულებული არის 100%.
2. სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯის მუხლში განსაზღვრული იყო 0 ლარი, დაზუსტებული არის 700 ლარი, გახარჯული არის 649,70 ლარი. შესრულებული არის 97,1%
3.
4. შენობა-ნაგებობია ხარჯის მუხლში განსაზღვრული იყო 2820ლარი, დაზუსტებული არის 2880 ლარი, გახარჯული არის 2820 ლარი. შესრულებული არის 100 %
5. კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის მუხლში განსაზღვრული იყო 800 ლარი, დაზუსტებული არის 3000 ლარი, გახარჯული არის 1757,60 ლარი, შესრულებული არის 58,57 %
6. საქმის წარმოების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ხარჯის მუხლში განსაზღვრული იყო 576 ლარი, დაზუსტებული არის 646 ლარი, გახარჯული არის 639 ლარი. შესრულებული არის 98,91 %
7. პრესაში ინფორმაციის გამოქვეყნება განსაზღვრული იყო 2700 ლარი, დაზუსტებული არის 4950 ლარი, გახარჯული არის 4950 ლარი. შესრულებილი არის 100%

8. კონდიციონერის მონტაჟი-დემონტაჟის ხარჯის მუხლში განსაზღვრული იყო 0 ლარი, დაზუსტებული არის 350 ლარი, გახარჯული არის 350 ლარი, შესრულებული არის 100%
9. გიდების გადამზადების მუხლში განსაზღვრული იყო 0 ლარი, დაზუსტებული არის 1500 ლარი, გახარჯული არის 1500 ლარი, შესრულებული არის 100%.

10. ფინანსთა ასოციაციის საწევროს მუხლში განსაზღვრული იყო 4000 ლარი, დასუსტებული არის 4000 ლარი, გახარჟული არის 4000 ლარი, შესრულებული არის 100 %.
11. მომსახურების გაწევის ხარჯის მუხლში განსაღვრული იყო 0 ლარი, დაზუსტებული არის 7400 ლარი, გახარჯული არის 6352 ლარი, შესრულებული არის 89,47 %
12. სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოს ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული/ტენდერი/ ხარჯის მუხლში განსაზღვრული იყო 0 ლარი, დაზუსტებული არის 200 ლარი, გახარჯული არის 150 ლარი, შესრულებული არის 75%

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში განსაზღვრული იყო 50420 ლარი, დაზუსტებული არის 66270 ლარი, გახარჯული არის 64760,50 ლარი, შესრულებული არის 38,19%.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"'-ს

დირექტორის მ/შ /ვ.ზურაბიანი/

საფინანსო- ეკონომიკური და შესყიდვების მართვის

კოორდინატორი /თ.აფხაძე/

ვერა ზურაბიანი



დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“